

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

*კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით..... 2*

*კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით..... 3*

*კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრისთვის..... 4*

*კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით..... 5*

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 6

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“-ს ჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის-„პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“-ს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ჯგუფს ადმინისტრაციის თანამშრომლებზე 2021 წელს გაცემული აქვს სახელფასო ბონუსები 225 640 ლარის ოდენობით, რომელსაც ჯგუფი გასცემს გაუნაწილებელი მოგებიდან და არ ასახავს ხარჯებში, რაც მსს ფასს სტანდარტებიდან გადახვევაა. „ჯგუფს“ აღნიშნული თანხით შემცირებული აქვს 2021 წლის საოპერაციო ხარჯი.

2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იკვეთება სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის „ჯგუფს“

არ განუხორციელებია ზემოთაღნიშნული აქტივების შეფასება გაუფასურებაზე. შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,691,911 და 6,877,571 ლარის ოდენობით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება ამ გარემოების გამო არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ

გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჯგუფის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, ჯგუფის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და

ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაჭონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის გიორგი გაბათაშვილი.

გიორგი გაბათაშვილი SARAS-A-923705

შპს „ლიდ აუდიტი“-ს სახელით

16 სექტემბერი 2022 წელი



შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,574,338	2,339,747	2,469,484
არამატერიალური აქტივები	8	547	644	757
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	9	158,497	266,477	255,511
		2,733,382	2,606,867	2,725,753
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	10	1,216,753	882,173	844,293
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	7,691,911	6,877,571	6,667,368
გადახდილი ავანსები	12	38,448	74,970	76,906
მარაგები	13	763,891	695,628	396,682
		9,711,003	8,530,341	7,985,248
მთლიანი აქტივები		12,444,386	11,137,209	10,711,001
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		800,122	800,122	800,122
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11,068,241	9,805,024	9,167,171
გადაფასების რეზერვი				
		11,868,363	10,605,146	9,967,292
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	96,606	76,140	88,960
საგადასახადო ვალდებულებები	15	406,261	245,988	201,567
მიღებული ავანსები	16	73,155	209,935	453,182
		576,022	532,063	743,709
მთლიანი ვალდებულებები		576,022	532,063	743,709
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12,444,386	11,137,209	10,711,001

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს "ახალი სამშენებლო კომპანია" და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,574,338	2,339,747	2,469,484
არამატერიალური აქტივები	8	547	644	757
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	9	158,497	266,477	255,511
		2,733,382	2,606,867	2,725,753
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	10	1,216,753	882,173	844,293
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	7,691,911	6,877,571	6,667,368
გადახდილი ავანსები	12	38,448	74,970	76,906
მარაგები	13	763,891	695,628	396,682
		9,711,003	8,530,341	7,985,248
მთლიანი აქტივები		12,444,386	11,137,209	10,711,001
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		800,122	800,122	800,122
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11,068,241	9,805,024	9,167,171
გადაფასების რეზერვი		11,868,363	10,605,146	9,967,292
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	96,606	76,140	88,960
საგადასახადო ვალდებულებები	15	406,261	245,988	201,567
მიღებული ავანსები	16	73,155	209,935	453,182
		576,022	532,063	743,709
მთლიანი ვალდებულებები		576,022	532,063	743,709
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12,444,386	11,137,209	10,711,001

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:



შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	Note	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	17	13,104,141	8,198,959
თვითღირებულება	18	(8,224,190)	(5,920,041)
საერთო მოგება		4,879,951	2,278,918
სხვა შემოსავლები	19	30,325	645,520
საოპერაციო ხარჯი	20	(1,273,644)	(1,282,948)
საოპერაციო მოგება		3,636,632	1,641,491
ფინანსური შემოსავალი	21	5,160	2,339
ფინანსური დანახარჯი		(7,966)	
მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალი წილი	22	(107,980)	10,965
სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	23	5,896	(5,523)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთრის სხვაობიდან	24	62,379	317,593
მოგება დაბეგვრამდე		3,594,121	1,966,864
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		3,594,121	1,966,864
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების			
გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3,594,121	1,966,864

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს .

დირექტორი:

შპს "ახალი სამშენებლო კომპანია" და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	Note	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	17	13,104,141	8,198,959
თვითღირებულება	18	(8,224,190)	(5,920,041)
საერთო მოგება		4,879,951	2,278,918
სხვა შემოსავლები	19	30,325	645,520
საოპერაციო ხარჯი	20	(1,273,644)	(1,282,948)
საოპერაციო მოგება		3,636,632	1,641,491
ფინანსური შემოსავალი	21	5,160	2,339
ფინანსური დანახარჯი		(7,966)	
მეკავშირე საწარმოს მოგება/ზარალი წილი	22	(107,980)	10,965
სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	23	5,896	(5,523)
წმინდა მოგება/ზარალი საკუთრსო სხვაობიდან	24	62,379	317,593
მოგება დაბეგვრამდე		3,594,121	1,966,864
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		3,594,121	1,966,864
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების			
გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		3,594,121	1,966,864

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:



შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2021	31/12/2020
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	14,585,324	9,968,763
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,715,941)	(5,275,905)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2,857,470)	(2,361,888)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(2,211,471)	(1,318,175)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები	37,159	64,682
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(9,055)	(83,243)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>2,828,546</u>	<u>994,234</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(475,878)	(36,498)
მიღებული პროცენტები	5,160	5,337
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(470,718)</u>	<u>(31,161)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(7,966)	-
გადახდილი დივიდენდები	(2,000,000)	(1,000,000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(2,007,966)</u>	<u>(1,000,000)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(15,282)	74,806
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	334,581	37,880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	882,173	844,293
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>1,216,753</u>	<u>882,173</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს "ახალი სამშენებლო კომპანია" და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2021	31/12/2020
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	14,585,324	9,968,763
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,715,941)	(5,275,905)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2,857,470)	(2,361,888)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(2,211,471)	(1,318,175)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები	37,159	64,682
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(9,055)	(83,243)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>2,828,546</u>	<u>994,234</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(475,878)	(36,498)
მიღებული პროცენტები	5,160	5,337
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(470,718)</u>	<u>(31,161)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(7,966)	-
გადახდილი დივიდენდები	(2,000,000)	(1,000,000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(2,007,966)</u>	<u>(1,000,000)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(15,282)	74,806
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	334,581	37,880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	882,173	844,293
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>1,216,753</u>	<u>882,173</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:



შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

**კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით**

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	9,167,170	-	9,967,292
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1,966,864		1,966,864
განაწილებული დივიდენდი		(1,329,011)		(1,329,011)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	9,805,024	-	10,605,146
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				
ქონების გადაფასება				
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		3,594,121		3,594,121
განაწილებული დივიდენდი		(2,330,904)		(2,330,904)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	11,068,241	-	11,868,363

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს "ახალი სამშენებლო კომპანია" და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

**კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	9,167,170	-	9,967,292
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1,966,864		1,966,864
განაწილებული დივიდენდი		(1,329,011)		(1,329,011)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	9,805,024	-	10,605,146
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				
ქონების გადაფასება				
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		3,594,121		3,594,121
განაწილებული დივიდენდი		(2,330,904)		(2,330,904)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	800,122	11,068,241	-	11,868,363

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 16 სექტემბერს.

დირექტორი:

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი შედგება შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“-სა (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი შპს „პარკინგ მენეჯმენტი“-სგან, რომელშიც „მშობელი კომპანია“ ფლობს 100%-იან წილს. შპს „პარკინგ მენეჯმენტი“ დაარსდა 2008 წლის 21 თებერვალს.

ჯგუფის შექმნის თარიღია 21/01/2010 წელი.

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 205044165, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2005 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქN11, ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ II ჩიხი N2.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

მამუკა ხაზარაძე (პ/წ 01030001235-26.98%);

ბადრი ჯაფარიძე (პ/წ 01014001058-26.98%);

ბობ მაიერი (პ/წ 01008013372-26.99%);

ჟან პატრიკ ვუაზენი (პ/წ 000686,02 ZCD5166-საფრანგეთის მოქალაქე-12.7%);

ასევე დამფუძნებელი და დირექტორი:

დავით ლაცაბიძე (პ/წ 01004003337-6.35%);

ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის: მამუკა ხაზარაძე (პ/წ 01030001235-26.98%) წილი შეიცავდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ხაზარაძე ჰოლდინგ, (ს/წ404642703) 26.98%-იანი წილით.

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 108 კაცს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2022 წლის 16 სექტემბერს.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შპს „პარკინგ მენეჯმენტი“-ს (ს/ნ 205242021), რომელიც დაარსდა 2008 წლის 21 თებერვალს. კომპანია შვილობილ საწარმოში ფლობს 100%-იან წილს 2010 წლის 20 იანვრიდან. შვილობილი კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე საბურთალოს გ-ბა. მისი ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. შპს „პარკინგ მენეჯმენტი“-ს შეჩერებული აქვს საოპერაციო საქმიანობა 2019 წლიდან, გააჩნია მხოლოდ ჯგუფისთვის არაარსებითი საბალანსო ნაშთები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს მშობელი კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანია არის ის ორგანიზაცია, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დროს

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“ მომგებიანია, ასევე „ჯგუფი“ წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. „ჯგუფი“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
2. 2021 წელს „ჯგუფმა“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
3. 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „ჯგუფი“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) უცხოური ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ჯგუფის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი /1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი / 1 ევრო	3.5040	4.0233

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „ჯგუფი“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „ჯგუფი“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად. მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება ცვეთის შემდეგი ნორმები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„ჯგუფი“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„ჯგუფი“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს.

წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით. მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გამოითვლება თვითღირებულებაზე, მეკავშირე საწარმოს სრულ შემოსავალში საწარმოს შემდგომი წილის დამატებით. თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ინდიკატორები მიუთითებს, რომ ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება აღმოჩნდება ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

„ჯგუფი“ ფლობს 30%-იან წილს შპს „პრემიუმეკ“-ში (ს/ნ 405285944) 2018 წლის 17 აგვისტოდან. შენიშვნა 9

f) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით, ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „ჯგუფი“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „ჯგუფი“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „ჯგუფი“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს: სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ფულად სახსრები და მისი ექვივალენტები.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „ჯგუფმა“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „ჯგუფი“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება

შესაძლებელია. „ჯგუფი“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „ჯგუფი“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და სესხის მიღების ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

გ) რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) *რისკის მართვის სისტემა*

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

(ii) *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშვება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

(iii) *ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„ჯგუფს“ არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელებისგან.

(iv) *საბაზრო რისკი*

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

„ჯგუფი“ არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლეტარულობის სამართავად.

(v) *სავალუტო რისკი*

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

h) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „ჯგუფი“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „ჯგუფის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„ჯგუფი“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

i) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

j) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „ჯგუფს“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი.

k) შემოსავლები

„ჯგუფი“ შემოსავალს იღებს სამშენებლო კონტრაქტებიდან და საქონლის რეალიზაციიდან. სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება ეტაპობრივად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

l) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

m) ხარჯები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

n) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

o) დივიდენდები

„ჯგუფი“ გაუნაწილებელი მოგებიდან პერიოდულად დამფუძნებლებზე გასცემს დივიდენდებს. გაუნაწილებელი მოგებიდან გაიცემა ასევე ადმინისტრაციაზე სახელფასო ბონუსებიც.

5. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

„ჯგუფი“ ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ჯგუფი“ გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

6. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

	ოპერაციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	ოპერაციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
დასახელება	2021	2020	2021	2020
გაწეული მომსახურება/დებიტ ორული დავალიანება	(397,748)	(1,090,069)	3,567,466	3,874,792
გადახდილი ხელფასი	(163,250)	(397,505)	-	-
გაცემული ბონუსი	(187,500)	(239,755)		
დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდები	(2,105,263)	(1,052,632)	-	-

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 7
ძირითადი საშუალებები

მთლიანი საბალანსო ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ჯამი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	332,884	62,688	2,013,304	1,353,150	84,362	1,622,977	5,469,366
შემოსვლა 2020 წელს	-	-	-	33,405	-	3,093	36,498
გასვლა 2020 წელს	-	-	-	(48,069)	-	-	(48,069)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	332,884	62,688	2,013,304	1,338,487	84,362	1,626,070	5,457,795
შემოსვლა 2021 წელს	-	-	-	454,143	4,303	17,431	475,878
გასვლა 2021 წელს	-	-	-	(20,909)	-	-	(20,909)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	332,884	62,688	2,013,304	1,771,720	88,665	1,643,501	5,912,764
ცვეთა გაუფასურება							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(414,827)	(1,106,761)	(67,844)	(1,410,449)	(2,999,881)
ღარიცხვა 2020 წლის განმავლობაში	-	-	(79,924)	(55,204)	(3,303)	(24,028)	(162,458)
გასვლა 2020 წლის განმავლობაში	-	-	-	44,292	-	-	44,292
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(494,751)	(1,117,672)	(71,148)	(1,434,476)	(3,118,048)
ღარიცხვა 2021 წლის განმავლობაში	-	-	(75,928)	(133,960)	(3,503)	(22,740)	(236,132)
გასვლა 2021 წლის განმავლობაში	-	-	-	15,754	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(570,679)	(1,235,878)	(74,651)	(1,457,217)	(3,338,425)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2020 წელი	332,884	62,688	1,598,477	246,390	16,517	212,528	2,469,485
31 დეკემბერი 2020 წელი	332,884	62,688	1,518,553	220,814	13,214	191,594	2,339,747
31 დეკემბერი 2021 წელი	332,884	62,688	1,442,626	535,842	14,014	186,285	2,574,338

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 8

არამატერიალური აქტივები

მთლიანი საბალანსო ღირებულება		პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
მთლიანი საბალანსო მდგომარეობა	2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,831	1,831
შემოსვლა 2020 წელს		-	-
გასვლა 2020 წელს		-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,831	1,831
შემოსვლა 2021 წელს		-	-
გასვლა 2021 წელს		-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,831	1,831
ცვეთა გაუფასურება			
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		(1,073)	(1,073)
დარიცხვა 2020 წლის განმავლობაში		(114)	(114)
გასვლა 2020 წელს		-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(1,187)	(1,187)
დარიცხვა 2021 წლის განმავლობაში		(97)	(97)
გასვლა 2021 წელს		-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		(1,283)	(1,283)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2020 წელი		757	757
31 დეკემბერი 2020 წელი		644	644
31 დეკემბერი 2021 წელი		547	547

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 9

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	158,497	266,477	255,511
სულ	158,497	266,477	255,511

შენიშვნა 4e

შენიშვნა 10

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	39,292	226,528	157,619
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,177,462	655,645	686,673
სულ	1,216,753	882,173	844,293

შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,691,911	6,877,571	6,667,368
სულ	7,691,911	6,877,571	6,667,368

შენიშვნა 12

გადახდილი ავანსები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	38,448	74,970	76,906
სულ	38,448	74,970	76,906

შენიშვნა 13

მარაგები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
საქონელი	522,701	437,182	315,396
ნედლეული და მასალები ობიექტების მიხედვით	237,042	257,523	76,481
საწვავი	4,148	923	4,804
სულ	763,891	695,628	396,682

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 14

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	96,606	76,140	88,960
სულ	96,606	76,140	88,960

შენიშვნა 15

საგადასახადო ვალდებულებები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებები	406,261	245,988	201,567
სულ	406,261	245,988	201,567

შენიშვნა 16

მიღებული ავანსები

	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	73,155	209,935	453,182
სულ	73,155	209,935	453,182

შენიშვნა: მიღებული ავანსები წარმოდგენილია დღგ-ს გარეშე თანხებით.

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

შენიშვნა 17

ამონაგები

	2021	2020
შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან	13,048,109	8,190,241
შემოსავალი მარაგების გაყიდვიდან	56,032	8,719
სულ	13,104,141	8,198,959

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 18

თვითღირებულება

	2021	2020
მასალების დანახარჯები /ობიექტებზე/	4,607,164	3,381,561
პირდაპირი ხელფასი	2,547,591	1,876,984
საწვავის ხარჯი	90,152	65,443
ბუნებრივი აირის ხარჯი	1,375	2,177
საპოხი საშუალებების ხარჯი	12,103	8,503
ელექტროენერგია	25,128	8,230
წყალი	14,884	8,689
საერთო საწარმოო ხარჯები	925,791	568,455
სულ	8,224,190	5,920,041

შენიშვნა 19

სხვა შემოსავალი

	2021	2020
საპენსიო ფონდიდან დაბრუნებული თანხები		13
სხვა შემოსავალი	2,903	3,444
აქტით დარიცხული თანხების შემცირება		22,498
მორიგებით აღიარებული დამატებითი შემოსავალი		619,566
კოვიდ შეღავათი	27,422	
სულ	30,325	645,520

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 20

საოპერაციო ხარჯი

	2021	2020
ავტოსატრანსპორტო ტექნიკის რემონტი	10,423	7,445
მ/დანადგარების რემონტი	1,531	1,049
სპეც. ინსტრუმენტების რემონტი	4,054	5,410
შრომის ანაზღაურება /ადმინისტრაცია/	842,196	829,189
საპენსიო ფონდი	44,110	33,094
საკანცელარიო ხარჯები		1,043
კომპიუტერის ხარჯები	123	233
კომუნიკაციის ხარჯები	9,056	8,950
უბედური შემთხვევის დაზღვევის ხარჯები	16,169	5,678
ავტომანქანის რემონტის ხარჯები	3,449	2,403
ბუნებრივი აირი გაზი /ოფისი/	3,916	2,589
საკონსულტაციო და აუდიტორიული ხარჯები	36,853	31,809
ცვეთა და ამორტიზაცია	236,228	162,572
სხვა საგადასახადო ხარჯები	26,327	74,465
საბანკო ხარჯები	9,085	12,232
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,044	4,809
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	26,080	24,011
1000 ლარამდე ძირითადი საშ. და არამატ. აქტივები		7,547
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი		68,421
სულ	1,273,644	1,282,948

შენიშვნა 21

ფინანსური შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	5,160	2,339
სულ	5,160	2,339

შპს “ახალი სამშენებლო კომპანია“ და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 22

მეკავშირე საწარმოს მოგების წილი

	2021	2020
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი წლის განმავლობაში	(107,980)	10,965
სულ	(107,980)	10,965

შენიშვნა 4e

შენიშვნა 23

სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2021	2020
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		3,777
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		1,746
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	5,896	
სულ	5,896	5,523

შენიშვნა 24

წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2021	2020
დადებითი საკურსო სხვაობები	91,708	338,543
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(29,329)	(20,950)
სულ	62,379	317,593

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

გაცემულია დივიდენდი 2022 წლის განმავლობაში 2,105,263 ლარი გასცა დამფუძნებლებზე, ხოლო 346,824 ლარი გაიცა აპარატის ბონუსი.

2022 წელს დამფუძნებელთა სიაში შევიდა ცვლილება. მამუკა ხაზარაძის (პ/ნ 01030001235) 26.98%-იანი წილის ფლობელი გახდა შპს საზოგადოება ხაზარაძე ჰოლდინგ (ს/ნ 404642703).

დირექტორი: დავით ლაცაბიძე

შპს "ახალი სამშენებლო კომპანია" და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 22

მეკავშირე საწარმოს მოგების წილი

	2021	2020
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი წლის განმავლობაში	(107,980)	10,965
სულ	(107,980)	10,965

შენიშვნა 4e

შენიშვნა 23

სხვა წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2021	2020
ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		3,777
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		1,746
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	5,896	
სულ	5,896	5,523

შენიშვნა 24

წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2021	2020
დადებითი საკურსო სხვაობები	91,708	338,543
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(29,329)	(20,950)
სულ	62,379	317,593

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

გაცემულია დივიდენდი 2022 წლის განმავლობაში 2,105,263 ლარი გასცა დამფუძნებლებზე, ხოლო 346,824 ლარი გაიცა აპარატის ბონუსი.

2022 წელს დამფუძნებელთა სიაში შევიდა ცვლილება. მამუკა ხაზარაძის (პ/ნ 01030001235) 26.98%-იანი წილის ფლობელი გახდა შპს საზოგადოება ხაზარაძე ჰოლდინგ (ს/ნ 404642703).

დირექტორი: დავით ლაცაბიძე





2021 წლის კონსოლიდირებული
მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“ ჯგუფი
ს/კ- 205044165

16 სექტემბერი 2022 წელი

დირექტორი:

დავით ლაცაბიძე



(ხელმოწერა)

სარჩევი

დირექტორის მიმართვა	3
ჯგუფის ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა	4
მისია და სტრატეგია	5
სტრატეგიული მიმართულებები.....	6
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	6
სვოტ ანალიზი	7
განვითარება და მიზნები	8
კლიენტის კმაყოფილება	8
ჯგუფის შიდა პოლიტიკა.....	8
სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები.....	9
პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.....	9
უსაფრთხოება	9
ჯამრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება	10
ფინანსური მაჩვენებლები	11
ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის პოზიციონირება	11

დირექტორის მიმართვა

ჩვენ გარშემო სამყარო სწრაფად იცვლება. ამიტომ, თუ გვსურს, რომ შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი პოზიცია, მნიშვნელოვანია, ადეკვატურად ვპასუხობდეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ საბაზრო გამოწვევებს. ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ჩვენს მიერ შესრულებული სამშენებლო, სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულებაა, რასაც გამოვხატავთ არა მხოლოდ კლიენტებისადმი კეთილგანწყობითა და ვალდებულებით, არამედ სამუშაოს შესრულების ხარისხის მუდმივი ამაღლებით.

2021 წელს მოვახერხეთ ბოლო წლების დადებითი ტენდენციის შენარჩუნება. გვაქვს სტრატეგია წინსვლისა და განვითარების, რომელმაც უფრო მეტ წარმატებამდე უნდა მიგვიყვანოს. ჩვენი მთავარი პრიორიტეტია შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ამისათვის მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს დამკვეთებთან, რათა მათი სურვილები სათანადოდ შევისწავლოთ. მყისიერად აღმოვაჩინოთ არსებული პრობლემები და უმოკლეს ვადაში მოვძებნოთ გადაჭრის გზები.

ჩვენ მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით შესრულება კარგად მართულ ორგანიზაციას ნიშნავს. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ არსებული მმართველობითი პრაქტიკა, რაც აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობების უფრო მეტად გაზრდისა და ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობისათვის.

ჩვენი მიზანია ვიყოთ მაქსიმალურად პროდუქტიულები, რისთვისაც შევქმენით თანამშრომლებისთვის შესაბამისი სამუშაო გარემო. ჩვენი წარმატება, რა თქმა უნდა, ემყარება თანამშრომლების პროფესიონალიზმს. ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურად თავდაუზოგავად მუშაობენ იმისთვის, რათა გაამართლონ მომხმარებელთა მოლოდინები. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მათ პროფესიონალურად და შესაძლებლობების მაქსიმუმით შესრულებული სამუშაოებისთვის.

ჯგუფის ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფი შედგება შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“-სა (მშობელი კომპანია) და მისი შვილობილი შპს „პარკინგ მენეჯმენტი“-სგან, რომელშიც „მშობელი კომპანია“ ფლობს 100%-იან წილს. შპს „პარკინგ მენეჯმენტი“ დაარსდა 2008 წლის 21 თებერვალს. ჯგუფის შექმნის თარიღია 20/01/2010 წელი.

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“, ს/კ **205044165** (შემდგომში - „კომპანია“), დაარსდა 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქN11, ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ II ჩიხი N2. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

მამუკა ხაზარაძე (პ/წ 01030001235-26.98%);

ბადრი ჯაფარიძე (პ/წ 01014001058-26.98%);

ბობ მაიერი (პ/წ 01008013372-26.99%);

ჟან პატრიკ ვუაზენი (პ/წ 000686,02 ძმD5166-საფრანგეთის მოქალაქე-12.7%);

ასევე დამფუძნებელი და დირექტორი:

დავით ლაცაბიძე (პ/წ 01004003337-6.35%);

ასევე კომპანიას აქვს სამეთვალყურეო საბჭო წევრებით: დავით ლაცაბიძე, ბობ მაიერი, ჯან-პატრიკ ვუაზენი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს მშობელი კომპანიის ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ჯგუფის 2021 წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2021 წლის ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ნებიერსმიერ პროექტი, რომლის შესრულების ვალდებულებას იღებს ჩვენი კომპანია, ხორციელდება მხოლოდ წინასწარ შემუშავებული გადაწყვეტილების საფუძველზე მშენებლობის ხასიათის და სამუშაოების განხორციელების ტექნოლოგიის მიხედვით, რომელიც გაითვალისწინება მშენებლობის ორგანიზების და სამუშაოების განხორციელების პროექტში. პროექტის შესასრულებლად კომპანია განსაზღვრავს პროექტის შესრულების ვადებს, გრაფიკებს, საჭირო რესურსებს და უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტის მოქმედაში შესასვლელად საჭირო ხარისხის დონეს.

ხელშეკრულების გაფორმებამდე ხდება სამუშაოთა შესრულების დაგეგმვა. პროცესს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. იგი აყალიბებს მუშა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან:

- ტექნიკური მენეჯერი;
- ფინანსური მენეჯერი;
- ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი;
- ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი.

პროექტის დაგეგმვის დროს უნდა განისაზღვროს:

- პროექტის ან მისი შემადგენელი ნაწილების ზემოქმედება სხვა მიმდინარე ან დაგეგმილ პროექტებზე;
- პროექტის ძირითადი ამოცანების გაანალიზება;
- პროექტის შესრულების მეთოდოლოგია;
- საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები;

დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად უსაფრთხოების მენეჯერი ადგენს უსაფრთხოების გეგმას, სადაც განისაზღვრება შესაძლო რისკი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მომენტში. დამკვეთთან მოლაპარაკებას ახორციელებენ ორგანიზაციის უფლებამოსილი პირები. კომპანიის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დადებითი პაუსუხის შემთხვევაში, პროექტის შესრულების გეგმის საბოლოო ვარიანტი საფუძვლად ედება ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას ხელს აწერენ კომპანიის გენერალური დირექტორი და დამკვეთის წარმომადგენელი. პროექტის მსვლელობის განმავლობაში ხორციელდება ანალიტიკური სამუშაო. ანალიზის მიზანია გამოვლინდეს პროექტის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე პროცესების მდგომარეობა და პრობლემების/რისკის შესაძლო წარმოშობის მიზეზები. ანალიზი ხორციელდება დაგეგმილ დროს. ჩვეულებრივ პროექტის ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ ხდება მისი დამტკიცება. პროექტი შეიძლება დამტკიცდეს, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაკმაყოფილდება დამკვეთის ყველა მოთხოვნა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე სავალდებულო იყო ჩვენი კომპანიისთვის. პროექტის დასრულების შემდეგ ხარისხის საბჭო აანალიზებს შესრულებულ სამუშაოებს.

მისია და სტრატეგია

მისია:

ჩვენი მისიაა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ხარისხის მუდმივი ამაღლება; უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვა;

ამბიცია:

ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ჩვენი მომხმარებლების, ვხედავთ მათ საჭიროებებს და ვცდილობთ, გადავაჭარბოთ მათ მოლოდინს;

სტრატეგია:

ჩვენ ყოველთვის ვზრუნავთ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივ განახლებაზე. ვავითარებთ გრძელვადიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას კლიენტებთან.

სტრატეგიული მიმართულებები

თანამშრომელი:

სტაბილური, უსაფრთხო და განახლებადი სამუშაო პირობები;

მომხმარებელი:

მომხმარებლის კმაყოფილება, პასუხი ახალ მოთხოვნილებებსა და გამოწვევებზე;

განვითარება:


შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი და ხარვეზების მყისიერი აღმოფხვრა.

პარტნიორობა:

სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება ცვალებად ბაზარზე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია წინამდებარე გრაფიკში, რომელთა საშუალებითაც ჯგუფი ახერხებს ეფექტიანად ფუნქციონირებას:



სვოტ ანალიზი

„ჯგუფი“ ყოველთვის აკეთებს წლიურ შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს და რა გამოწვევების მიღება შეუძლია ბაზარზე; ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე კომპანიის ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც 2021 წლის ბაზრის კვლევამ აჩვენა:

პლიერი მხარეები ♦ რისკის გონივრული შეფასება; ♦ დაგეგმვა; ♦ კვალიფიციური თანამშრომლები	შესაძლებლობები ♦ მუდმივი სწრაფვა ინოვაციებისადმი ♦ ახალი ტექნოლოგიები
სუსტი მხარეები ♦ მგრძნობიარე ეკონომიურ გარემოზე	საფრთხეები ♦ კონკურენტული გარემო

განვითარება და მიზნები

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული „ჯგუფის“ მიზნები და დიდი ენთუზიაზმით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არსებული შემოსავლის გაუმჯობესებაა. ახალი კლიენტების მოსაზიდად რეგულარულად ტარდება ანალიზი არსებული კლიენტების კმაყოფილების მაჩვენებლის გასაზომად, ხოლო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით კომპანია მუდმივად ზრუნავს ბიზნესის ყველა ასპექტის გაუმჯობესებაზე.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ვალდებულებებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე. კომპანიის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია პატიოსნება, საიმედოობა და ლოიალურობის პოლიტიკა კლიენტებისადმი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამშრომლები მომავალშიც ხედავდნენ საკუთარ თავს ჩვენს კომპანიაში და ჰქონდეთ კარიერული განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენ მუდმივად ვიმყარებთ ცოდნასა და უნარებს უკეთესი პროდუქტის შესაქმნელად და იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ლიდერობა ბაზარზე.

კლიენტის კმაყოფილება

ჯგუფი მუდმივად ორიენტირებულია მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია ჯგუფი“-ის პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია საიმედოობა. ზრუნვა კლიენტებზე კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამისათვის მუდმივი კომუნიკაცია მიმდინარეობს მომხმარებლებთან, ჩვენი მოვალეობაა, დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი კლიენტები კმაყოფილები არიან ჩვენთან ურთიერთობის დროს. ამ პოლიტიკის განხორციელებაში უმთავრესი როლი ჩვენს თანამშრომლებს აკისრიათ. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რათა დროულად შეძლონ პრობლემის ამოცნობა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

ჯგუფის შიდა პოლიტიკა

ჯგუფის ბიზნესი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მმართველი მენეჯმენტი კარგად იცნობს იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის

მოთხოვნების დაცვა არის კომპანიის პრიორიტეტი. ზემოხსენებული ნორმატიული აქტების შესაბამისად კომპანიას შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა.

სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები

ჯგუფში 2021 წლის ბოლოს დასაქმებული იყო 108-ზე მეტი ადამიანი, რომელთა საქმიანობა, ქცევა, მომხმარებლებთან ურთიერთობა რეგულირდება ორგანიზაციის შიდა განაწესით. კომპანია იცავს საქართველოს შრომის კოდექსს.

პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

„ჯგუფში“ მოქმედებს კადრების შერჩევის სისტემა, რომლის მიხედვითაც თანამშრომლების აყვანის პროცესი ეტაპებადაა დაყოფილი. ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ CV-ის საფუძველზე ხდება კანდიდატების შერჩევა გასაუბრების ეტაპისთვის. გასაუბრების საფუძველზე კანდიდატი ინიშნება შესაბამის პოზიციაზე გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 2-3 თვის ვადით. გამოსაცდელი ვადა ანაზღაურებადია. თანამშრომლის სამსახურში აყვანა ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია დასაქმებულის თანამდებობა, შრომითი ფუნქცია, უფლება-მოვალეობები, სამუშაოდან გათავისუფლების წესი, შვებულება, შრომითი ანაზღაურების ოდენობა და სხვა პირობები, რომელიც მიიღწევა მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

თანამშრომელს მოეთხოვება იყოს პატიოსანი, ობიექტური, ყურადღებიანი, თავაზიანი და გულისხმიერი, როგორც კლიენტების, ასევე კოლეგების მიმართ. ის ვალდებულია აიცხადოს კონფლიქტური სიტუაციები და არ დაუშვას ფაქტის განზრახ დამახინჯება და არაპროფესიონალური მოქმედება.

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლის მიმართ უფლებამოსილ პირს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ზომები:

1. საყვედური
2. სასტიკი საყვედური
3. ფინანსური სანქციები;
4. ხელშეკრულების მოშლა და სამსახურიდან გათავისუფლება;

ყველა ზემოაღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით.

უსაფრთხოება

კომპანიის ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს. პიროვნება, რომელიც კომპლექსში რაიმე ფორმით დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და საფრთხეს შეუქმნის

მოქალაქეთა/თანამშრომელთა უსაფრთხოებას, დაუყოვნებლივ გამევეებულ იქნება ტერიტორიიდან. ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი რეაგირება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოს შესასვლელში მოწყობილია მიმღები, სადაც ვიზიტორი ვალდებულია კომპანიის თანამშრომელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან მოქალაქის პასპორტი, რათა მოხდეს მისი იდენტიფიცირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კომპანიის ენერგოსისტემა უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი. გარე პერიმეტრზე, შესასვლელში, დამონტაჟებულია ვიდეოსათვალითვალო სისტემა და მიმდინარეობს ვიდეოჩაწერა. ჩანაწერები ინახება კომპიუტერულ ბაზებში.

კომპანიამ შეიმუშავა საგანგებო მზადყოფნის დეტალური გეგმა, რათა დავიცვათ ჩვენი თანამშრომლები სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს. კომპანიას ასევე დანერგილი აქვს დაცვის განსაკუთრებული სისტემა, რაც ხელს უშლის სხვადასხვა სახის დარღვევას და გამორიცხავს თაღლითობის რისკს.

ჯამრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია ჯგუფი-ს“ თანამშრომელთა და ვიზიტორთა ჯამრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები და ყოველდღიური მონიტორინგი ეფექტურია ინციდენტების და უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით.

მის ძირითად მოვალეობას შეადგენს:

- განახორციელოს კომპანიისთვის ჯამრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა;
- პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება;
- პერსონალის შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება;
- ინციდენტების და უბედური შემთხვევების პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პროცედურების, ნორმების და დოკუმენტაციის შემუშავება და დანერგვა;
- სამუშაო ობიექტების მონიტორინგის განხორციელება.

ჯამრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიაში ჩატარებული ღონისძიებები:



- შემუშავებულია კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და დამტკიცებულია დირექტორის მიერ;
- დასაქმებულების უფლება-მოვალეობები შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- დირექტორის შესაბამისი ბრძანებები;

- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლების მიმართ პასხისმგებლობის შესახებ;
- კომპანიის ყველა პერსონალი გაცნობილია შრომის უსაფრთხოების კანონს და შრომის უსაფრთხოების კაპოლიტიკას;
- კომპანიის პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანი, ჩაფხუტი, სათვალე სიმაღლიდან ვარდნისგან დამცავი ღვედებით დ.ა.შ);
- კომპანიაში სამუშაოების ჩატარების დროს გასაზღვრულია რისკის ალბათობის შემცველი ზონები და ტერიტორიები და გაწერილია პროცედურები უსაფრთხო მუშაობის ჩასატარებლად;
- ტრანსპორტი გამართულია, მძღოლებს უტარდებათ ალკოტესტი სპეციალური ალკოტესტით;
- კომპანიაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ზომები (ხანძარსაწინააღმდეგო კედლები კომპლექტში და ცეცხმაქრობები);
- კომპანიას გააჩნია ევაკუაციის გეგმა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებში, დერეფნები და კიბეები აღჭურვილია სპეციალური გასასვლელის და კიბეების მაჩვენებელი ნიშნებით;
- სარემონტო სამუშაოების ჩატარების წინ თანამშრომლებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი სპეციალური შემუშავებული პროცედურის თანახმად და აღიჭურვებიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ტექნიკით.

ფინანსური მაჩვენებლები

ბაზრის მიმოხილვა და კომპანიის პოზიციონირება

შპს „ახალი სამშენებლო კომპანია ჯგუფი“-ს ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია დიაგრამებში:



გაუნაწილებელი მოგება

